საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2644 2020 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მართვის ქვეშ მყოფი შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით ღონისძიების განხორციელების თაობაზე

1. ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს (შემდგომში – ჰოლდინგი), მისი მართვის ქვეშ მყოფი შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ (შემდგომში – კლინიკა) შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, საჭირო ხარჯების (საგადასახადო დავალიანების) დასაფარად, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან სუბსიდიის სახით გამოიყოს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

2. ჰოლდინგმა უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება ამ განკარგულების

პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ხარჯვის შესახებ, მოთხოვნის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**